პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

20 სექტემბერი, ოთხშაბათი, 1961 წ.

№ 146 (1782)

გამოდის მე-18 წელი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

ეროვნული ბიბლიოთეკა

17 ოქტომბერს მოსკოვში მუშაობას დაიწყებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა. საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტულმა ორგანიზაციებმა ამ მნიშვნელოვანი თარიღისადმი აიღეს გაზრდილი ვალდებულებები, რომელთა შესრულება გადაჭრის რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის შემდგომი აღმავლობის საკითხს!



საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების XII სპარტაკიადაზე დიდი წარმატება ხვდა წილად ქართველ სამბისტს გ. ჩიტაშვილს, რომელმაც ფინალურ ბრძოლაში დაამარცხა ჩვენი ქვეყნის უძლიერესი მოჭიდავე ი. ლემეშევი.

სურათზე: გ. ჩიტაშვილი (ქვემოთ) სახიფათო ილეთს უტარებს ი. ლემეშევს.

ფოტო უ. მოსესოვისა.

„ბ“ კლასში

კიროვაკანი. 19 სექტემბერი. ქალაქის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩი მოკავშირე რესპუბლიკათა I ზონის გუნდებს შორის, ადგილობრივმა „ლორმა“, რომელიც სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზეა, მიიღო გათამაშების ლიდერი თბილისის „ლოკომოტივი“.

დაძაბულ ბრძოლაში მოწინააღმდეგეებმა გაიტანეს თითო გოლი და შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1.

თბილისელი სტუდენტები — პრიზიორები

ამას წინათ დონის როსტოვში გაიმართა სპორტსაზოგადოება „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს გუნდური პირველობა ჭადრაკში. ჩემპიონის სახელისათვის ბრძოლაში მონაწილეობა მიიღო 21 გუნდმა. გუნდები განაწილდნენ სამ ნახევარფინალურ ჯგუფებში, სადაც ორ-ორმა გამარჯვებულმა შეადგინეს ფინალი. დასკვნით ტურნირში თამაშობდნენ მოსკოვის ენერგეტიკის ინსტიტუტი, ბელორუსიის უნივერსიტეტი, დონის როსტოვის უნივერსიტეტი, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი, მოსკოვის უნივერსიტეტი და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. თვითეულ გუნდში შედიოდა 5 კაცი და ერთი ქალი.

ჩემპიონობა დაისაკუთრეს მოსკოვის ენერგეტიკის ინსტიტუტის ჭოჭადრაკეებმა. მეორე ადგილზე გამოვიდა მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდი, მესამეზე — თბილისელი სტუდენტები (დ. ჯანოევი, გ. კალატოზიშვილი, ი. ვეტოხინი, რ. ჩირგაძე, ე. აბრამიძე, გ. ბუცხრიკიძე, სათადარიგო ე. გერსამია).



ასე გამოიყურება გათამაშების ცხრილი

მოსკოვის „დინამოს“ კალათბურთელ ვაჟთა გუნდმა თავისი უკანასკნელი მატჩი ჩვენი ქვეყნის პირველობაზე ჩაატარა თავის მოედანზე რიგის არმიელთა წინააღმდეგ. ამ შეხვედრას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საპრიზო ადგილების განაწილებისათვის. გამარჯვების შემთხვევაში დინამოელები ინარჩუნებდნენ საპრიზო ადგილზე გასვლის შანსებს. სპორტულად დაძაბული, საინტერესო მატჩი ერთი ქულის განსხვავებით მოიგეს რიგელმა კალათბურთელებმა — 64:63.

ასევე საინტერესო გამოდგა მატჩი ლენინგრადში, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ კიევის სკიფი და ადგილობრივი „ბურევესტნიკი“. თამაში აღინიშნა სტუმრების უპირატესობით და დამთავრდა მათივე გამარჯვებით ანგარიშით 86:83.

ამჟამად გათამაშების ცხრილი ასე გამოიყურება:

	თ.	მ.	წ.	ქ.
ცსკა	13	12	1	12
„დინამო“ თბილისი	13	9	4	9
სკა რიგა	13	9	4	9
„დინამო“ მოსკოვი	14	8	6	8
სკიფი კიევი	12	8	4	8
„ჟალგირისი“ კნ.	14	3	11	3
„ბურ“. ლდ.	14	3	11	3
„სპარტაკი“ ლდ.	13	1	12	1

* * *

კიშინიოვში დამთავრდა ქალთა გუნდების ჩემპიონატი. პირველი ადგილი და ოქროს მედლები მოიპოვეს რიგის ტრამვაი-ტროლეიბუსების ტრესტის კალათბურთელებმა. მეორე საპრიზო ადგილზე გამოვიდა ლენინგრადის სკა, მესამეზე ამ ქალაქის „ბურევესტნიკი“.

პირობა გავანაღდეთ

ბორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა უმრავლესობა ქალგაზრდობაა და ცხადია, იქ, სადაც ქალგაზრდობაა, წარმოუდგენელია არ იყოს კარგი ფიზკულტურული კოლექტივი, ოლო სპორტი—პოპულარული. ასეა ჩვენთანაც, როცა კომბინატი ფეხს იკიდებდა, ჩვენთან ორიოდე სექცია მუშაობდა, რომელშიც ფიზკულტურელთა მცირე რაოდენობა იყო გაერთიანებული, ახლა მუშაობს სპორტის 14 სახეობის სექცია, ფიზკულტურულ საქმიანობას მისდევს 1600 კაცი.

როცა ჩვენს ქვეყანაში გაიშალა მზადება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის შესახვედრად კომბინატის ფიზკულტურულმა კოლექტივმა ივალდებულა ვადაზე ადრე, ყრილობის გახსნის პატივისათვის შეესრულებინა ნიშნოსანთა, თანრიგოსანთა და საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადების თვალდებულება.

ყრილობის გახსნამდე ვუპატაკებთ სოციალისტურ სამშობლოს, რომ გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატის ფიზკულტურელებმა უკვე გავანაღდეთ პირობა. გეგმით გათვალისწინებული 2 პირველთანრიგოსნის ნაცვლად მოვამზადეთ 5 პირველთანრიგოსანი, 14 მეორეთანრიგოსანი სპორტსმენის ნაცვლად — 22, დიდი გადასარბებით გავანაღდეთ მესამე და ჭაბუკთანრიგოსანთა მომზადების გეგმებიც.

მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის დონის კიდევ უფრო ამაღლების მიზნით, ჩვენი თვითვალდებულება ითვალისწინებდა 8 ფიზორგის, 12 საზოგადოებრივი ინსტრუქტორის, საწარმოო ტანვარჯიშის 10 ინსტრუქტორის მომზადებას. სინამდვილეში უკვე მოვამზადეთ 12 ფიზორგი, 20 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი, საწარმოო ტანვარჯიშის 15 ინსტრუქტორი, 12 მსაჯი.

ამჟამად, კომბინატელთა მთავარი ამოცანაა მაქსიმალურად გამოვიყენოთ დარჩენილი დრო, ავამაღლოთ ფიზკულტურელთა და სპორტსმენ-თანრიგოსანთა მომზადების დონე, რათა თანდათან შევქმნათ მაღალი სპორტული კლასის გუნდები, ვამრავლოთ ოსტატთა რიგები. კომბინატის დირექცია, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციები ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რათა სპორტი კომბინატში გადაიქცეს საერთო სახალხო საქმედ.

ა. ცარციძე,
კომბინატის დირექტორი.

ა. ჯიბრაველაშვილი,
პარტიული კომიტეტის მდივანი.

ნ. კურდღელაშვილი,
საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე.

გ. მამულაშვილი.
სპორტის ოსტატი, მწვრთნელი ჭიდაობაში.

... ბლედის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე X ტურით დაიწყო ... ჯიბრების მეორე ნახევარი. ფი... ...ბრმა ადვილად დაამარცხა ბერტო... ... სათაკეში ჩაუდგა ტურნირს. ... 7,5 ქულა აქვს. მაგრამ ამერი... ...ის დაწინაურება აიხსნება იმი... ...ც, რომ ორი სხვა ლიდერი—ტ... ... და პეტროსიანი ერთმანეთს

წინ გავიდა ფიშერი

შეხვდნენ და მათი პარტია ყაიმით დამთავრდა. ტალს 7 ქულა დაუგროვდა, ხოლო პეტროსიანს — 6,5 ქულა. კერესმა, რომელიც პეტროსიანს მხარში ედგა, მოუგო ისლანდიელ ოლაფსონს და 7 ქულით გაუტოლდა ტალს.

მოსალოდნელია პირველობისათვის მწვავე ბრძოლები, რადგან ლიდერები ერთმანეთს უნდა შეხვდნენ. განსაკუთრებით დიდ ინტერესს იწვევს ფიშერის შეხვედრები კერესსა და პეტროსიანთან.

მეგობრული შარჟი

ა. რევაზიშვილისა.

ლ. ინწკირველი.

ფეხბურთის საკავშირო ფედერაციაში

სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა და მოიწონა ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის წინადადება „ბ“ კლასის ზონების გუნდების სამატჩო შეხვედრების ჩატარების შესახებ. გადაწყდა: სამატჩო შეხვედრებში მონაწილეობის უფლება მიეცეთ რსფსრ-ს, უკრაინის, მოკავშირე რესპუბლიკათა „ბ“ კლასის ზონების, აგრეთვე რესპუბლიკათა ნაკრებ გუნდებს. ამასთან ნაკრები გუნდების შემადგენლობაში შეყვანილნი უნდა იქნენ „ბ“ კლასის ოსტატთა გუნდის წევრები, რომლებიც დაბადებულნი არიან არა ნაკლებ 1937 წელს.

განზრახულია მიმდინარე წლის „ბ“ კლასის საკავშირო პირველობის მატჩები ჩატარდეს უკვე დადგენილი კალენდრის მიხედვით იმ ფეხბურთელთა მონაწილეობის გარეშე, რომლებიც მოხვდებიან ზონათა ნაკრები გუნდების შემადგენლობაში, ამიტომ ნაკრებში შეიძლება შეყვანილ იქნას მხოლოდ ორი ფეხბურთელი ყოველ გუნდიან.

ამასთან დაკავშირებ - მიღებულია დადგენილება ე „ანი საკავშირო სპორტულ კლასიფიკაციაში ცვლილებათა შეტანის შესახებ, რომლის თანახმად სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭებათ იმ ფეხბურთელებს, რომლებიც 2 წლის განმავლობაში ითამაშებენ ზონების ან რესპუბლიკათა ნაკრები გუნდების შემადგენლობაში.

ახლოვია სამატჩო შეხვედრების კალენდარი:

20 ხელტემბერი. მოსკოვში „ტორპედოსა“ და „პახტაკორის“ მატჩის შემდეგ ითამაშებენ რსფსრ-ს ჩრდილოეთის ოლქების ნაკრები (I ზონა) — ვოლგისპირეთის (III ზონა) ნაკრები გუნდები. **25 ხელტემბერი.** კიევში ერთმანეთს შეხვდებიან უკრაინის I და II ზონების ნაკრები გუნდები. **26 ხელტემბერი.** მოსკოვში ითამაშებენ რსფსრ-ს ცენტრალური ოლქების ნაკრები (II ზონა) და ურალის ზონის (V ზონა) ნაკრები. მატჩი გაიმართება მოსკოვის „სპარტაკისა“ და თბილისის „დინამოს“ შეხვედრის დამთავრების შემდეგ. **1 ოქტომბერი.** მოსკოვში, „სპარტაკისა“ (მოსკოვი) და „ტორპედოს“ მატჩის დამთავრების შემდეგ ითამაშებენ ჩრდილო კავკასიისა (რსფსრ-ს IV ზონა) და მოკავშირე რესპუბლიკების ზონის გუნდების ნაკრები, ხოლო 8 ოქტომბერს — (ისევ მოსკოვში) რსფსრ-სა და უკრაინის ნაკრები კოლექტივები.

ფეხბურთის ... დავიცვათ გაზეთი

... ...

ᲧᲐᲛᲘᲠᲔᲚᲔᲑᲡ
ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐᲗ

ᲧᲐᲛᲘᲠᲘ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲘᲡ ᲙᲝᲕᲩᲔᲢᲐᲕᲘᲡ ᲝᲚᲥᲨᲘ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲛᲘᲕᲚᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲡᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲐ Ბ. ᲙᲝᲕᲐᲚᲘᲝᲕᲘᲡ, Ა. ᲘᲝᲠᲓᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ, Რ. ᲒᲐᲚᲣᲡᲢᲝᲕᲘᲡ, Ა. ᲣᲒᲠᲔᲣᲚᲔᲘᲫᲘᲡ (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲓᲐᲜ), Ზ. ᲑᲐᲦᲓᲐᲕᲐᲫᲘᲡ, Ა. ᲑᲣᲠᲯᲐᲜᲐᲫᲘᲡ ᲓᲐ Ა. ᲠᲐᲢᲐᲡ (ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲓᲐᲜ) ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲘᲗ. ᲙᲝᲕᲩᲔᲢᲐᲕᲘ ᲛᲐᲠᲪᲕᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲐ. ᲛᲘᲡ ᲪᲮᲠᲐ ᲓᲘᲓ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲓᲐᲠᲒᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ – ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲕᲔᲑᲡ.

ᲓᲘᲓ ᲨᲠᲝᲛᲐᲡ ᲔᲬᲔᲕᲘᲐᲜ ᲐᲮᲐᲚᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲔᲑᲘ. ᲒᲐᲜᲡᲐᲪᲕᲘᲤᲠᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲧᲐᲛᲘᲠᲔᲚᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲔᲠᲔᲑᲐ. ᲛᲐᲗ ᲬᲔᲚᲡ ᲒᲐᲪᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲔᲢᲘ ᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲐᲘᲦᲔᲡ. ᲛᲐᲗ, ᲐᲮᲚᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲠᲐᲕᲘᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲠᲝᲡ, ᲔᲡᲐᲭᲘᲠᲝᲔᲑᲐᲗ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲓᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲐ — ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘ, ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲬᲕᲠᲗᲜᲐ... ᲐᲛ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘᲗ ᲙᲘ ᲐᲥ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲠᲘ�გᲖᲔ ᲠᲝᲓᲘᲐ: ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲬᲣᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲨᲘ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲣᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲜᲘ, ᲐᲙᲚᲘᲐᲗ ᲡᲐᲕᲐᲠᲯᲘᲨᲝ ᲘᲜᲕᲔᲜᲢᲐᲠᲘ, ᲛᲝᲣᲬᲧᲝᲑᲔᲚᲘᲐ ᲛᲝᲔᲓᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕ.

ᲩᲕᲔᲜ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲧᲝᲕᲚᲘᲡᲐ, ᲓᲐᲕᲣᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲘᲗ ᲡᲐᲝᲚᲥᲝ, ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲓᲐ ᲠᲐᲘᲝᲜᲣᲚ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ, ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲣᲚ ᲓᲐ ᲤᲘᲖᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲡ. ᲛᲐᲗᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲕᲡᲮᲐᲗ ᲡᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲝ ᲒᲔᲒᲛᲐ, ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲡ ᲒᲐᲕᲣᲬᲘᲔᲗ ᲡᲐᲗᲐᲜᲐᲓᲝ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲔᲑᲘ, ᲛᲘᲕᲔᲪᲘᲗ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲠᲩᲔᲕᲐ-ᲓᲐᲠᲘᲒᲔᲑᲔᲚᲘ, ᲓᲐᲕᲣᲡᲮᲔᲗ ᲡᲐᲗᲐᲜᲐᲓᲝ ᲙᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲚᲛᲝᲕᲣᲩᲘᲜᲔᲗ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐᲨᲘ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ. ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲘᲗ ᲙᲣᲡᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲰᲓᲝᲔᲚᲜᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲨᲘ ᲘᲥᲜᲐ ᲛᲝᲧᲕᲐᲜᲘᲚᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲛᲝᲔᲓᲜᲔᲑᲘ, ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ.

ᲛᲣᲨᲗᲐ ᲙᲚᲣᲑᲔᲑᲨᲘ ᲙᲘᲜᲝ-ᲡᲔᲐᲜᲡᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲘᲡ წᲘᲜ ᲛᲝᲕᲐᲬᲧᲝᲗ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲔᲑᲗᲐᲜ. ᲒᲐᲛᲝᲕᲐᲕᲚᲘᲜᲔᲗ ᲗᲐᲜᲠᲘᲒᲝᲜᲡᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲛᲣᲨᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲛᲐᲪ ᲘᲗᲐᲕᲔᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲪᲐᲚᲙᲔᲣᲚ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲡᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲐᲓᲘᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲐ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲝᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲣᲠᲐᲦᲦᲔᲑᲐ ᲛᲘᲔᲥᲪᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐᲡ. ᲘᲥ ᲧᲝᲤᲜᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲡ ᲛᲝᲕᲐᲛᲖᲐᲓᲔᲗ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲢᲝᲠᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡᲐᲪ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲗ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲐᲓ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ.

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲓᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲘᲡ ᲒᲐᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲬᲔᲡᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲔᲬᲧᲝ ᲙᲝᲩᲔᲢᲐᲕᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲘᲡ ᲛᲐᲛᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲡᲘᲡ ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲐ ᲡᲠᲝᲚᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚ ᲘᲥᲜᲐ ᲡᲝᲪ. ᲙᲠᲐᲡᲜᲘ ᲘᲐᲠᲨᲘ, ᲛᲐᲡᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ 100 ᲙᲐᲪᲛᲐ, ᲯᲘᲚᲓᲝ ᲛᲝᲘᲠᲗᲕᲐ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲛ. ᲐᲡᲔᲗᲘᲕᲔ ᲗᲐᲡᲘ ᲘᲥᲜᲐ ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲣᲚᲘ Ქ. ᲙᲝᲩᲔᲢᲐᲕᲨᲘ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲔᲡᲢᲐᲤᲔᲢᲐᲨᲘ. ᲔᲡ ᲗᲐᲡᲘ ᲛᲝᲘᲒᲝ ᲡᲐᲛᲙᲔᲠᲕᲐᲚᲝ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲛᲐ.

ᲩᲕᲔᲜ ᲛᲔᲢ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲕᲣᲬᲧᲔᲗ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲕᲚᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲮᲔᲚᲡᲐᲧᲠᲔᲚ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲝᲣᲯᲔᲕᲡ ᲡᲐᲞᲐᲠᲐᲨᲣᲢᲝ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲔᲣᲤᲚᲔᲑᲘᲐᲜ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲐᲛ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲐᲡ, ᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲔᲜ ᲞᲐᲠᲐᲨᲣᲢᲘᲡ ᲓᲐᲙᲔᲪᲕᲐᲡ, ᲛᲝᲕᲚᲐ-ᲨᲔᲜᲐᲮᲕᲐᲡ, ᲐᲮᲠᲘᲪᲘᲔᲚᲔᲑᲔᲜ ᲢᲙᲝᲛᲔᲑᲡ ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘᲓᲐᲜ.

ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝ ᲨᲔᲠᲩᲔᲣᲚᲘ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲐ ᲧᲐᲛᲘᲠᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲔᲑᲨᲘ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲩᲐᲕᲘᲓᲐ, ᲠᲝᲪᲐ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲐᲦᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲛᲗᲐᲕᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗ ᲣᲑᲜᲔᲑᲖᲔ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲕᲔᲚᲐᲓ ᲘᲧᲝ ᲒᲐᲮᲣᲚᲘ.

ᲛᲘᲕᲚᲘᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲮᲔᲚᲡᲐᲧᲠᲔᲚ ᲓᲠᲝᲓ ᲛᲘᲒᲕᲐᲩᲜᲘᲐ ᲛᲐᲘᲡ-ᲘᲕᲜᲘᲡᲘ, ᲒᲕᲘᲐᲜᲘ ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲐ ᲐᲜ ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘ. ᲡᲐᲨᲔᲤᲝ ᲯᲒᲣᲤᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲐᲛᲓᲔ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲓᲒᲘᲜᲓᲔᲡ ᲠᲐ ᲡᲐᲮᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲐ ᲒᲐᲜᲖᲠᲐᲮᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ, ᲠᲐᲗᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘᲛᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲛᲐ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲝᲜ ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲘ, ᲒᲐᲘᲒᲖᲐᲕᲜᲝᲜ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲪᲐᲚᲙᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲩᲐᲐᲢᲐᲠᲔᲑᲔᲜ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲣᲚ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲓᲐ ᲛᲔᲗᲝᲓᲣᲠ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ.

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ ᲨᲔᲤᲝᲑᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲣᲠᲘ ᲮᲐᲡᲘᲐᲗᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲕᲪᲔᲗ, ᲧᲐᲛᲘᲠᲔᲚᲔᲑᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲫᲐᲚᲖᲔ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐᲗ.

Ა. ᲠᲐᲢᲘᲐ,
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘᲡ ᲡᲐᲨᲔᲤᲝ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ



ᲚᲝᲡᲐᲐᲖ-ᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲕᲘᲝᲡᲞᲝᲠᲢᲙᲚᲣᲑᲨᲘ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲛᲘᲚᲓᲔᲕᲡ ᲡᲐᲞᲐᲠᲐᲨᲣᲢᲝ ᲡᲞᲝᲠᲢᲡ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘ ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ ᲔᲣᲤᲚᲔᲑᲘᲐᲜ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲐᲛ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲐᲡ, ᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲔᲜ ᲞᲐᲠᲐᲨᲣᲢᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ, ᲛᲝᲕᲚᲐ-ᲨᲔᲜᲐᲮᲕᲐᲡ, ᲐᲮᲠᲘᲪᲘᲔᲚᲔᲑᲔᲜ ᲢᲙᲝᲛᲔᲑᲡ ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘᲓᲐᲜ.

ᲐᲥᲐᲣᲠ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲡ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲐᲓ ᲐᲥᲕᲗ ᲗᲕᲘᲗᲔᲑᲣᲠᲐᲓ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲝᲜ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲐᲘᲣᲑᲘᲚᲔᲝ ᲜᲐᲮᲢᲝᲛᲘ. ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲝᲒᲕᲘᲗᲮᲠᲝᲑᲗ ᲔᲡ ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲘ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲐᲣᲓ-ᲙᲐᲛᲕᲝᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘᲡ ᲛᲭᲚᲝᲕᲔᲚᲛᲐ ᲡᲕᲔᲢᲚᲐᲜᲐ ᲑᲝᲑᲠᲝᲕᲐᲛ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲛᲔᲐᲡᲔ ᲜᲐᲮᲢᲝᲛᲘ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲐ ᲐᲛ ᲓᲦᲔᲡ. ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲔᲑᲘ ᲒᲐᲠᲑᲘᲐᲜ ᲪᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲨᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲠᲐᲗᲐ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲛ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲐᲡ, ᲐᲮᲠᲘᲪᲘᲔᲚᲔᲑᲔᲜ ᲢᲙᲝᲛᲔᲑᲡ ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘᲓᲐᲜ.



ᲜᲔᲝᲡ ᲓᲐᲐᲡᲬᲠᲝᲜ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲛᲝᲣᲚᲝᲪᲝᲜ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜ ᲒᲝᲒᲝᲜᲐᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ (ᲡᲣᲠᲐᲗᲘ ᲖᲔᲕᲘᲗ).

ᲐᲘ, ᲑᲢᲝᲛᲐ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ. ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲔᲑᲛᲐ ᲑᲝᲑᲠᲝᲕᲐᲡ ᲞᲐᲠᲐᲨᲣᲢᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲜᲐᲪ ᲙᲘ ᲐᲠ ᲓᲐᲐᲪᲐᲓᲔᲡ, ᲞᲐᲠᲐᲨᲣᲢᲘᲡ ᲓᲐᲮᲐᲙᲔᲪᲘ ᲑᲠᲔᲖᲘᲔᲜᲢᲘᲗ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔᲯᲔᲠ ᲐᲘᲮᲠᲝᲚᲔᲡ ᲰᲐᲔᲠᲨᲘ (ᲡᲣᲠᲐᲗᲘ ᲥᲕᲔᲕᲘᲗ). ᲐᲛ ᲛᲝᲚᲝᲪᲕᲐᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲐ — „ᲘᲣᲑᲘᲚᲔ“ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲘᲚᲔᲑᲘᲪᲐ ᲓᲐ ᲘᲮᲘᲜᲘᲪ, ᲕᲘᲜᲪ ᲐᲮᲚᲐ ᲘᲓᲒᲐᲛᲔᲜ ᲤᲔᲮᲡ ᲐᲛ ᲡᲞᲝᲠᲢᲨᲘ, ᲛᲝᲕᲐ ᲓᲠᲝ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲐᲪ ᲛᲝᲣᲬᲔᲕᲗ ᲐᲮᲔᲗᲘ ᲮᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲐ.

ᲖᲔᲓᲐ ᲡᲣᲠᲐᲗᲨᲖᲔ (ᲛᲐᲠᲪᲮᲔᲜᲘᲗ) ᲐᲛ ᲖᲔᲘᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲔᲑᲘ, Ხ. ᲑᲝᲑᲠᲝᲕᲐᲡ ᲮᲘᲐᲛᲐᲧᲘᲗ ᲣᲑᲠᲬᲧᲘᲜᲐᲕᲡ ᲮᲐᲮ. ᲘᲒᲘ ᲮᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐᲐ ᲓᲐ ᲕᲘᲜ ᲘᲪᲘᲮ, ᲙᲘᲓᲔᲕ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲐᲮᲔᲣᲚᲘ ᲮᲢᲝᲛᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲘᲚᲔᲑᲘᲗ.

ᲤᲝᲢᲝ Ხ. ᲙᲠᲣᲣᲙᲝᲕᲘᲡᲐ.

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲘᲠᲐᲓ-ᲒᲣᲜᲓᲣᲠᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲙᲠᲝᲑᲐᲢᲘᲙᲐᲨᲘ ᲫᲐᲚᲗᲐ ᲓᲐᲗᲕᲐᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠ ᲠᲔᲞᲔᲢᲘᲪᲘᲐᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲓᲐ ᲡᲐᲙᲐᲨᲘᲠᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲡᲚᲠᲙ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ ᲒᲣᲜᲓᲘᲡ ᲬᲕᲠᲘ, ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲝᲡᲢᲐᲢᲘ Ვ. ᲚᲘᲢᲕᲘᲜᲝᲕᲘ — 73,3 ᲥᲣᲚᲐ.

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲓᲐᲮᲕᲔᲬᲘᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔ ᲐᲙᲚᲓᲐ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚ ᲫᲐᲚᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲬᲧᲕᲘᲚᲘᲡ Ⲙ. ᲕᲝᲚᲝᲩᲘᲜᲙᲝᲡᲐ ᲓᲐ Ვ. ᲒᲐᲤᲠᲘᲜᲓᲨᲕᲘᲚᲘᲡ (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ) ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲔᲑᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲙᲠᲝᲑᲐᲢᲗᲐ ᲯᲒᲣᲤᲛᲐ (Გ. ᲓᲐᲕᲘᲓᲝᲕᲘ, Ⲙ. ᲛᲐᲠᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ, Ვ. ᲤᲔᲡᲔᲜᲙᲝ, Ტ. ᲮᲣᲓᲝᲕᲘ) ᲕᲔᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ ᲓᲐ „0“ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ. ᲐᲡᲔᲕᲔ „ᲨᲔᲣᲤᲐᲡᲔᲑᲔᲚᲘ“ ᲓᲐᲠᲩᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲘᲪ.

ᲠᲝᲪᲐ ᲝᲗᲮᲔᲣᲚᲔᲑᲖᲔ ᲕᲚᲐᲞᲐᲠᲐᲨᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ ᲛᲝᲛᲣᲨᲐᲕᲔ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚ ᲐᲙᲠᲝᲑᲐᲢᲗᲐ ᲯᲒᲣᲤᲛᲐ (Გ. ᲓᲐᲕᲘᲓᲝᲕᲘ, Ⲙ. ᲛᲐᲠᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ, Ვ. ᲤᲔᲡᲔᲜᲙᲝ, Ტ. ᲮᲣᲓᲝᲕᲘ) ᲕᲔᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ ᲓᲐ „0“ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ. ᲐᲡᲔᲕᲔ „ᲨᲔᲣᲤᲐᲡᲔᲑᲔᲚᲘ“ ᲓᲐᲠᲩᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲘᲪ.

ᲠᲝᲪᲐ ᲝᲗᲮᲔᲣᲚᲔᲑᲖᲔ ᲕᲚᲐᲞᲐᲠᲐᲨᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ ᲛᲝᲛᲣᲨᲐᲕᲔ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚ ᲐᲙᲠᲝᲑᲐᲢᲗᲐ ᲯᲒᲣᲤᲛᲐ (Გ. ᲓᲐᲕᲘᲓᲝᲕᲘ, Ⲙ. ᲛᲐᲠᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ, Ვ. ᲤᲔᲡᲔᲜᲙᲝ, Ტ. ᲮᲣᲓᲝᲕᲘ) ᲕᲔᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘ ᲕᲔᲠ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲐ ᲓᲐ „0“ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ ᲛᲘᲘᲦᲝ. ᲐᲡᲔᲕᲔ „ᲨᲔᲣᲤᲐᲡᲔᲑᲔᲚᲘ“ ᲓᲐᲠᲩᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲘᲪ.

ᲠᲝᲪᲐ ᲝᲗᲮᲔᲣᲚᲔᲑᲖᲔ





ინდური შთაბეჭდილებები

არც ისე დიდი ხანა ვმოღვაწეობ ინდოეთის ერთ-ერთ ქალაქში. ძირითადი ჩემი სამუშაო ინდოეთის ეროვნული სპორტის ინსტიტუტია. ვამზადებ მომავალ სპეციალისტებს, რომლებმაც შემდგომში საფუძველი უნდა ჩაუყარონ ტანვარჯიშის განვითარებას თავიანთს ქვეყანაში. ამოცანა მეტად სერიოზული და საინტერესოა, ვინაიდან უნდა აღიზარდონ მწვრთნელები, რომლებიც შემდგომში ინდოეთს მისცემენ თანამედროვე კლასის ტანმოვარჯიშეებს. ამ წერილის საშუალებით შევეცდები გადმოგცეთ ზოგიერთი საგულისხმო და საინტერესო ამბავი ინდოეთის სპორტული ცხოვრებიდან.

მეცადინეობის დაწყების პერიოდში ინსტიტუტს არ გააჩნდა სპორტული ინვენტარი, არ იყო კეთილმოწყობილი ტანვარჯიშული დარბაზი და ყველაფერი დავიწყეთ თავიდან. ჩემს მიერ შედგენილი ნახაზების მიხედვით კუსტარული წესით შევუკვეთეთ ყველა აუცილებელი ტანვარჯიშული იარაღი და ინვენტარი. ვინაიდან აქ ჯერ კიდევ არ არსებობს სპეციალური წარმოება. მაგრამ ამ კუსტარულად ნაკეთებმა იარაღებმა სავსებით შეცვალეს თანამედროვე ტიპის „ოლიმპიური იარაღები“, ისეთი მაგარი და დრეკადი ჯიშის გამოდგა აქაური წიფელა. მისგან დამზადდა ძელები ორძელისათვის, რგოლები, ტაიჭის სახელურები, გურზები, ტანვარჯიშული კედელი და სკამი. თავისუფალი ვარჯიშისათვის გამოვიყენეთ ხალიჩა, რომელიც წინათ ერთ-ერთ საცეკვაო დარბაზს ამშვენებდა. მაღალი ხარისხის გამოდგა ფხილაის ფოლადიც, რომლისგანაც დამზადდა ღერძი.

ვინაიდან ინდოეთში წელიწადში 10 თვის მანძილზე შესაძლებელია ღია ცის ქვეშ მეცადინეობა, დარბაზის გვერდით მოვაწყეთ ტანვარჯიშული მოედანი და აქ ვმეცადინეობთ (ორი თვე ინდოეთში წვიმების პერიოდია).

ტანმოვარჯიშეთა ჯგუფი ძირითადად ახალგაზრდებისაგანაა დაკომპლექტებული და მათთვის ფიზიკური შრომა ჯერ კიდევ სახალისოა. როგორც მოგეხსენებათ, ტანვარჯიში დიდ ფიზიკურ გარჯას მოითხოვს, რომლის გაღებაც მხოლოდ გარკვეული მონდომების შემდეგ შეიძლება და ინდოელ ახალგაზრდობათა მონდომებამ ჩემში განცვიფრება გამოიწვია. წარმოიდგინეთ 40 გრადუსი პაპანაქება და ამ დროს ვარჯიში იარაღებზე. განუწყვეტლივ მოედინება ოფლის ღვარი შავ, დაძარღვულ კანზე, მაგრამ სპორტსმენი მხოლოდ იმას ცდილობს, რაც შეიძლება ხშირად ავიდეს იარაღზე და სწრაფად აითვისოს მისთვის უცნობი, მაგრამ საინტერესო ილეთი. მონდომების გარდა აქაური ახალგაზრდები ტანვარჯიშისათვის მეტად ხელსაყრელი ბუნებრივი მონაცემებით არიან დაჯილდოებულნი. ისინი მოქნილნი, კარგი მხტომელობის მქონე და ფიზიკურად გამძლენი არიან.

რელიგია და მასთან დაკავშირებული წესები ინდოეთში, სამწუხაროდ ჯერ კიდევ ღრმადაა გამჯდარი მოსახლეობის ფართო ფენებში. ღარიბობა, რომელსაც არა აქვს სწავლა-განათლების საშუალება, რელიგიის მონადაა ქცეული. აი, მაგალითად, ჯგუფში მყავს მეტად კარგი, ბუნებრივი მონაცემების მქონე ტანმოვარჯიშე, რომელმაც თავიდანვე მიიპყრო ჩემი ყურადღება. იგი გამუდმებით ატარებს რელიგიის მიერ დაწესებული ბრამინის ნიშანს. როგორც გადმომცეს, იგი თურმე ცრუმორწმუნეცაა.

მისი მამა, ყოფილი სასულიერო მქადაგებელი და 12 შვილის პატრონი სასტიკი წინააღმდეგია შვილს განზრახვისა, რომელმაც ხელი მიჰყო „არაწმინდა“ საქმეს. იგი სპეციალურად ჩამოვიდა შვილთან, რომ კიდევ ერთხელ შთაეგონებინა მისთვის თავი დაენებებინა სპორტისათვის, მაგრამ გურჯარს (ასე ჰქვია მას) იმდენად უყვარს ტანვარჯიში, ისე გატაცებულია სპორტის ამ სახეობით, რომ მზადაა სახლში არ დაბრუნდეს და ასე მშობლების მიერ „დაწყევლილი“ განაგრძობს „არაწმინდა“ საქმეს, გურჯარი უდაოდ კარგი ახალგაზრდაა, პატიოსანი, მშრომელი, წყნარი, უთქმელი, მაგრამ ჯერ კიდევ რელიგიის ტყვეობაში იმყოფება. მასში იგრძნობა შინაგანი ბრძოლა რელიგიასა და ალალ ბუნებას შორის. შეიძლება მას აღარც სჯერა ბრამინის ნიშნისა, მაგრამ ვერ გაუბედია მისი მოშორება.

ჭ. დელის, კულტურის სახლში მთხოვეს წამეკითხა მოხსენება საბჭოთა სპორტის შესახებ. მეორე მოხსენება, რომელიც მე წავიკითხე, ეხებოდა საქართველოს ისტორიას და მიეძღვნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავს. ორივე მოხსენების დროს აუდიტორია ვერ იტევდა მსმენელებს, უამრავი შეკითხვა, რომელიც მე მივიღე, ნათლად ამჟღავნებდა ინდოელი ხალხის ინტერესს საბჭოთა ხალხის მიმართ.

7 აგვისტოს ჩვეულებისამებრ შეკვეთილი ტანვარჯიშის დარბაზში გაკვეთილის ჩასატარებლად, მაგრამ სტუდენტები ერთიანად დამხვდა. რამდენიმე წუთის განმავლობაში ისმოდა „ურა“-ს ძახილი. ბიჭებმა გამოიტანეს, რომ იგი „ეუბნებოდა“ საბჭოთა კოსმონავტს გ. ტიტოვს.

ამ ქვეყნის მთავრობა ინდოეთის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ დაუღალავად იბრძვის ხალხის საკეთილდღეოდ, ხალხს მისი სჯერა და ამიტომაც ინდოელი შრომისმოყვარე მოსახლეობა ბეკრს გააკეთებს.

თ. სანებლიძე,
სპორტის ოსტატი.
ქ. დელი.

* * *

სურათებზე: ინდოელი ტანმოვარჯიშეები ატარებენ ვარჯიშს თვითნაკეთ იარაღებზე.

ფოტო ავტორისა.

რედაქტორი ი. უგულავა.

უცხოელი მოთამაშეების გარეშე

არგენტინის ჩემპიონატისათვის მზადება ზოგიერთმა კლუბმა ჩვეულებისამებრ იმით დაიწყო, რომ თავისი ემისრები აფრინა ბრაზილიასა და ურუგვაიში. მართლაც ისეთ კლუბებს, როგორებიც არიან „ბოკა ჟუნიორესი“ (მწვრთნელი ვინსენტე ფეოლა), „რივერ პლატა“ და „ინდეპენდიენტე“, ნაკლებად შეიძლება ეწოდოს არგენტინული კლუბები, რადგან აქ ძირითადად ბრაზილიელები თამაშობენ.

მიუხედავად ასეთი მზადებისა, რომელიც ამ სამ კლუბს 12 მილიონი მარკა დაუჯდა, ვერცერთმა მათგანმა ვერ იგდო ხელთ ლიდერობა, 10 ტურის შემდეგ პირველ ადგილზე ბუენოს-აირესის „რესინგი“, რომელსაც არა ყავს უცხოელი მოთამაშეები. ამ კლუბმა უკვე 5 ქულით გაუსწრო უახლოეს მეტოქეებს. მეორე ადგილზეა ლაპლატას „გიმნასია“, პროვინციული კლუბი, რომელსაც ცხადია, ასევე არ ყავს ნაყიდი ფეხბურთელები, სამაგიეროდ, „რივერ პლატამ“ თავისი „ბრაზილიური“ თავდასხმით ევროპიდან დაბრუნების შემდეგ ზედიზედ წაგო სამი მატჩი.

„ვუნდერტიმის“ შემდგომი მატჩები

როგორც ვენის პრესა იუწყება, ავსტრიის ეროვნული ნაკრები, ან როგორც მას აქ უწოდებენ „კარლ დეკერის საოცარი გუნდი“ წლის ბოლომდე კიდევ ორ მატჩს ჩაატარებს. იგი შეხვდება იუგოსლავიისა (ზაგრებში) და უნგრეთის (ვენაში) გუნდებს.

იუგოსლავიის ნაკრების მწვრთნელები ტარნანიჩი და ჩირიჩი ავსტრიელებთან შეხვედრას განიხილავენ, როგორც სერიოზულ გამოცდას მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნითი თამაშების წინ.

უნგრელთა მწვრთნელი ლაიოშ ბაროტი ავსტრიელებს ამ მოკლე ხანში მესამედ ხვდება. ორივე მხარემ თითო მატჩი მოიგო. უნგრელებმა, რომლებმაც უზრუნველყვეს ჩილში გამგზავრების უფლება და რომლებსაც მრავალი წლის განმავლობაში არ წაუგით ვენაში, გადაწყვიტეს რევანში აიღონ ბუდაპეშტში ამასწინანდელი დამარცხებისათვის. ვენის მატჩის საყურებლად ჩავლენ გამოჩენილი სპეციალისტები ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან.

ამ მატჩების თარიღი არ არის საბოლოოდ დაზუსტებული.

ფეხბურთის ქალაქი ქვეყანა

საერთაშორისო ტურნირი კადიქსში

კადიქსში (ესპანეთი) სისტემატურად (წელიწადში ერთხელ) იმართება საერთაშორისო ტურნირი ესპანეთისა და უცხოეთის უძლიერესი კლუბების მონაწილეობით. შარშანდელი შეჯიბრების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ესპანეთის კლუბები „რეალი“ და „ბარსელონა“. მაშინ პირველი ადგილი მადრიდის „რეალს“ დარჩა.

წლევანდელ შეჯიბრებაში „რეალი“ არ მონაწილეობდა, ხოლო ახლანდელი „ბარსელონა“ შარშანდელთან შედარებით სრულიად სხვა გუნდია. აქ უკვე აღარ თამაშობს ესპანელ გულშემატკივართა „კერპი“, 38 წლის მეკარე ანტონიო რამალეტსი, რომელსაც კლუბის ხელმძღვანელობამ დააბრალა მატჩის წაგება ლისაბონის „ბენფიკასთან“. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალში იგი შეცვალა ჰაბუკმა მეკარემ რიკარდო ზამორა — უმცროსმა. ამასთან, როგორც ვიუწყებოდით გუნდიდან წავიდნენ თავდამსხმელები ტეხადა, კუბალა, სუარესი, ვილაველდე, კოჩიში და ციბორი, რომლებიც ახალგაზრდა ესპანელმა მოთამაშეებმა შეცვალეს.

ასეთი დიდი ცვლილებების მიუხედავად, „ბარსელონამ“ კადიქსში წარმატებით ითამაშა. იგი ფინალში შეხვდა სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ჩემპიონების თასის მფლობელ „პენაროლს“ (ურუგვაი). მატჩი მოიგეს ესპანელებმა ანგარიშით 2:1. მეორე ადგილი ურუგვაელებს დარჩათ, მესამე ადგილზე გამოვიდა „რივერ პლატა“ (არგენტინა), რომელმაც მატჩი მოუგო ესპანეთის თასის მფლობელ „ატლეტიკოს“ (მადრიდი).



თბილისის მე-10 საშუალო სკოლის გახანგრძლივებული დღის ჯგუფის მოსწავლეებს საშინაო დავალების შესრულების შემდეგ უყვართ შაშის თამაში.

სურათზე: ძმები მოშაშვილები თ. და ვ. ღალანიძეები გამარჯვების მისაღწევად არ „ინდობენ“ ერთმანეთს.

ფოტო ვ. გოგაძისა.



20 — 21
სექტემბერი
საერთაშორისო
შეხვედრა
თავისუფალ ჰიდაობაში

რუმინეთი — საქართველო

შეხვედრების დასაწყისი: 20 სექტემბერს 20 ს. 30 წ. 21 სექტემბერს 19 ს. 30 წ.



23
სექტემბერი
საერთაშორისო
შეხვედრა
ქალები
„ბურევესტნიკი“ (თბილისი)-
რუმინეთი (ნაკრები)
ვაჟები
„დინამო“ (თბილისი)-
რუმინეთი (ნაკრები)
დასაწყისი 19 ს. 30 წ.

24
სექტემბერი
საერთაშორისო
შეხვედრა
ქალები
ქ. თბილისის ნაკრები-
რუმინეთი (ნაკრები)
ვაჟები
„ბურევესტნიკი“ (თბილისი)-
რუმინეთი (ნაკრები)
დასაწყისი 19 ს. 30 წ.

25
სექტემბერი
სსრ კავშირის პირველობა
„დინამო“ (თბილისი)-
სკიფი (კიევი)
დასაწყისი 20 საათზე.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.
დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორის — 8-89-62, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 8-90-34, გამომშვების — 8-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 00705